პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

| № 7 (249). | გამოცემის მერვე წელი<br>ორშაბათი, 23 მარტი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ. |
|---|---|---|

# მკვეთრად ავამაღლოთ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი შრომითი აღმავლობით ჩაბმულია კომუნიზმის მშენებლობის იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელების საქმეში, რომელიც დასახა სკკპ XXI ყრილობამ, ნათელი წარმოსადგენია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაღრმავებასა და გაძლიერებას.

ეს კარგად აქვთ შეგნებული ჩვენი უნივერსიტეტის საფაკულტეტო პარტიულ ორგანიზაციებს, რომელთაც ბევრი საინტერესო ღონისძიება აქვთ გატარებული ამ მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მუშაობის ამ უბანზე ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაჩნია, რომელთა გამოსწორებისათვის საჭიროა დავრაზმოთ მთელი ჩვენი ძალები.

უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა თავის სხდომებზე ამას წინათ განიხილა საკითხი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე. საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ ამ ფაკულტეტებზე პარტბიუროებს ერთგვარი მუშაობა აქვთ ჩატარებული სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ამაღლდა აკადემიური წარმატების დონე, საერთოდ, და კერძოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინებში; რამდენადმე შემცირდა დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და სხვ. ამასთან, აღნიშნულ ფაკულტეტებზე ჯერ კიდევ შეინიშნება რიგი ნაკლოვანებანი.

დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე სასწავლო წლის დაწყებისთანავე არ უზრუნვიათ პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა პოლიტიკური სწავლების რომელსამე ფორმაში გაერთიანებაზე. აქ მხოლოდ სემინარული მუშაობის ფორმებში 6 ამხანაგის გაერთიანებით და დამოუკიდებლად მომუშავეთა სიების შედგენით დაკმაყოფილებულან. ამით აიხსნება, რომ ფაკულტეტის მასწავლებელთა და თანამშრომელთა გარკვეული ნაწილი ჩამოშორებულია პოლიტიკური განათლების სისტემას.

გასაუბრებამ ცხადყო, რომ ფაკულტეტის თანამშრომლებისა და მასწავლებლების ნაწილი არც პოლიტსწავლების რაიმე ფორმაში არის გაერთიანებული და არც დამოუკიდებლად იმაღლებს თავის იდეურ-პოლიტიკურ დონეს. ამის შედეგად ზოგი მათგანი (ამხ. ამხ. კეშელავა, ბაქრაძე, გელაშვილი, თარიშვილი, გამხარაშვილი, ნადარეიშვილი, თუშმალიშვილი, ჭურღიანი, პიპერი, დოლონაძე, ლვამიჩავა და სხვ.) თანამედროვეობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხებშიც ვერ ერკვევა. ხოლო პარტიის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომთან ფილოსოფიის საკითხებზე არსებულ სემინარში გაერთიანებული ამხანაგები — ო. ჯინორია, მ. იანქოშვილი, ნ. კაკაბაძე, ა. ხუციშვილი, თ. ნიჟარაძე, ქ. ბურძენიძე ხშირად აცდენენ მეცადინეობას.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული საგიტაციო მუშაობის საქმე მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. აგიტატორები თავიანთ საუბრებს ნაკლებად უკავშირებენ ფაკულტეტის წინაშე მდგარ ამოცანებს, კურსის, ჯგუფის საჭირბოროტო საკითხებს. ზოგი აგიტატორი (მ. მაღრაძე, გ. ქუთათელაძე) კი ვითომდა ჩატარებული აგიტსაუბრის ფორმალური „აღრიცხვით" კმაყოფილდება.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე არასაკმარისია პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კომკავშირზე. ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და სასწავლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში ერთგვარად იგნორირებულია კომკავშირის როლი. ამ მიმართულებით ნაკლებადაა გამოყენებული საკურსო და ჯგუფის კომკავშირული კრება. უკანასკნელი ერთნახევარი წლის მანძილზე უნივერსიტეტის რექტორატმა აკადემიური ჩამორჩენილობისა, სასწავლო დისციპლინის დარღვევისა და სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელისათვის ადმინისტრატიული სასჯელი დაადო ფაკულტეტის 41 კომკავშირელს, მაგრამ არცერთი მათგანის საკითხი არ გაუხდიათ მსჯელობის საგნად ჯგუფის ან კურსის კომკავშირულ კრებაზე.

ფაკულტეტის სტუდენტთათვის ნაკლებად ეწყობოდა ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები—იდეურ-პოლიტიკური აღზრდის თემებზე, მარქსიზმ-ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, პარტიის ისტორიის, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, არასაკმარისად ტარდებოდა ლექციები, დისპუტები კომუნისტური ზნეობის საკითხებზე (მეგობრობა, სიყვარული, ქორწინება, ოჯახი და სხვ.).

იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დარგში არსებული ამ ნაკლოვანებებით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ დასახელებულ ფაკულტეტებზე სუსტად წარმოებდა ბრძოლა ძველი ყოფაცხოვრების გადმონაშთების (ლოთობა, ხულიგნობა და სხვ.) წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა სტუდენტთა ამორალური ქცევის გამოვლინების ცალკეულ შემთხვევებს. მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიეს სტუდენტებმა — შონიამ, ქავთარაძემ, აბესაძემ, ქათამაძემ, ჩიქოვანმა, აზაროვმა (მექანიკა-მათემატიკის ფაკ.), გამსახურდიამ, მეტრეველმა (დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტ. ფაკ.). ხშირია ლექცია-სემინარების უმიზეზოდ გაცდენები. რიგი სტუდენტებისა აკადემიურადაც ჩამორჩება.

განიხილა რა დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტებზე იდეურ-პოლიტიკური მუშაობის საკითხი, პარტიულმა კომიტეტმა მთელი რიგი ღონისძიებანი დასახა აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

# მათი საქმე

იყო შაბათი დღე, დილა, ყინულიც... და უნივერსიტეტის I კორპუსის ჩრდილოეთით, 2 მეტრის სიღრმის გაზსადენის მილებჩაწყობილი თხრილი, მუშათა მომლოდინე.

...ბიჭებმა მარტო შარვლის ტოტები აიკეცეს და ნიჩბებს ძარღვიანი, ვაჟკაცური ხელი ჩაავლეს...

როლანდ ბასილაშვილი, როგორც ბრიგადირი, საქმით უჩვენებდა და სიტყვით ამხნევებდა ბიჭებს, ხოლო ენერგიული მურმან გოგიშვილი ენამახვილობდა და პეტრე ლიკლიკაძეს არ ასვენებდა...

მურმანმა, რაკი დაინახა, რომ მისთვის არ ეცალა პეტრეს, ზაურ მეძველიას მიუბრუნდა:

— რაო, ფილოლოგიის ფაკულტეტმა ყველას დაასწრო ასეთი ინიციატივის წამოწყება და განხორციელებაში? გაზაფხულს ელოდებიან თუ რა?

ამაზე ზაურს გაეღიმა. ვინ იცის რატომ, იქნებ იმიტომ, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანია, იქნებ იმიტომ, რომ საქმენი ფილოლოგთა უსიტყვოდაც ღაღადებენ?

მუდამ ჩუმი და საქმიანი გურამ მაისურაძე არც ახლა ღალატობდა „დუმილის თეორიას", შლიდა მიწას და ყრიდა თხრილებში.

— აბა, ბიჭებო, ხელათ მოვრჩებით, ხელათ, — თქვა ბრიგადირმა და ვეებერთელა თხრილს გახედა ბოლომდე, შიგ ვეშაპივით რომ იწვა გაზსადენი მილი.

ბიჭებმა პიჯაკები გაიძრეს...

— ამ ხუმრობა-ხუმრობაში მართლა საქმე გავაკეთეთ.

გიორგი საითიძე ჩამოშლილ თმას უკანაც არ იგდებდა, ისე მიჰქონდა მიწა თხრილისაკენ...

...წვეთები აჩნდათ შუბლზე პეტრეს და საითიძეს — ოფლისა, შოთა დავითაშვილს და ჯემალ აფციაურს — წვიმისა...

ხანდახან სიჩუმეს ხევდა ასფალტზე ნიჩბის ხრიალი და... ისევ ჩუმათ ტოკავდნენ მკლავები...

პეტრე ხომ თავს არ ზოგავდა, მაგრამ არც მურმანი აკლებდა... ლაპარაკს:

— პეტრე, მართლა პეტრე ხარ, დედისერთა, შარვალს მაინც გაუფრთხილდი, რა თავს იკლავ! გაიგე?!.

ვერ გაიგო პეტრემ...

მეგონა არმაზ სანებლიძე იმიტომ იყო აქ, სიტყვით გაგვამხნევებდა, მაგრამ ისიც ფილოლოგია და ამ ბრიგადის წევრი. საქმით გვეუბნებოდა უფრო მეტს.

— ყოჩაღ, ბიჭო!

(ცოდვა გიტეხილი ჯობია: ქალაქში გაზრდილი კაცი თუ ეგრე თავს დადებდა არ მეგონა. იქნებ ვცდები. ზოგჯერ ცოტა ყალთაბანდობა უყვართ ხოლმე ქალაქელ ბიჭებს...)

მიწა იყო აყრილ-ასფალტნარევი და თხრილის ამოვსება ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ „დამკვრელი ბრიგადა", რის დამკვრელია, თუ დიდი შრომის ამ პატარა უბანზე შერცხვება!

ჰო, მართლა! ზაზა კორსაველი ორჯერ მოვიდა.

პირველად: — არმაზ, კომიტეტიდან გთხოვენ.

— ბრიგადირსა ჰკითხეთ, მე წევრი ვარ. როლანდ, გამიშვებ?..

ამჯერად ბრიგადირმა დიდი სიმკაცრე გამოიჩინა...

მეორედაც მოვიდა ზაზა. ამის შემდეგ ჩვენ ხელიდან ზაზა არ გაგვიშვია, ზაზას კი — ნიჩაფი...

არმაზი მალე დაბრუნდა. ზაზასაც ეშველა. მაგრამ მაშინვე არ წასულა... ათეულმა ორმოცი მეტრი სიგრძის და ორი მეტრი სიღრმის თხრილი ამოავსო...

კიდევ მოვიდა ზაზა. მას ერთი მწითური ბიჭი მოჰყვა. ამბობდნენ სურათი უნდა გადაიღოსო... ასეც მოიქცა. იქნებ მე ამისათვის ყურადღებაც არ მიმექცია, რომ ვიღაცას არ გამოეცრა: მე არსად მინახავს მაგისი სურათი დაბეჭდილიო...

— ნახავ, რა გეჩქარება, — გაამხნევა ვიღაცამ გვერდიდან...

12 მარტს, სწორედ ასეთი საქმე გააკეთეს ფილოლოგებმა ფალიაშვილის ქუჩაზე. იქ იყვნენ შრომაში მოწინავენი. III კურსის ალკკ ბიუროს მდივანი ბ. ზვიადაძე, გ. კიკილაშვილი და ლ. ბიულიშვილი, მეორეკურსელი ე. არღვლიანი თავისი რგოლებით, შ. მაისურაძე და ვ. სტასიუკი, დ. გოგოსაშვილი და ზ. სარჯველაძე, რ. ჩაჩუა, ჯ. თითმერია და სხვები.

გააკვირვეს თავისი შრომით მუშები. აჩვენეს, რომ ვაჟკაცური შრომაც იციან სწავლასთან ერთად.

იყო: შაბათი. დილა. ყინული.

შრომა, მხიარულება, კმაყოფილება კიდევ ბევრი იქნება როგორც ფილოლოგიის, ისე სხვა ფაკულტეტების სტუდენტებისგანაც.

**შ. კონსტანტინიდი**



**სურათზე:** ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული შრომითი ბრიგადის წევრები ფალიაშვილის ქუჩაზე გაზსადენის გაყვანილობაზე მუშაობის დროს.

# არჩევნების დღე სტუდენტთა ქალაქში

15 მარტს ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რომელსაც დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით, ახალ-ახალი წარმატებებითა და პატრიოტული ენთუზიაზმით შეხვდნენ მთელი საქართველოს მშრომელები.

ამ სადღესასწაულო, ღირსშესანიშნავ დღეს სრული მომზადებით შეეგება სტუდენტთა ქალაქიც, აქ მოწყობილი იყო ორჯონიკიძის რაიონის № 23 საარჩევნო უბანი, სადაც კენჭს იყრიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატობაზე კარლო გარდაფხაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ქ. თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანი, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე გივი ჭანუყვაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი და ნინო თათარიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროგრაფიის კათედრის პროფესორი. მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახ. რაისაბჭოს დეპუტატობაზე ამხ. ამხ. ნ. ნოზაძე, გ. ოგანეზოვი, ლ. შარვაძე, ნ. ქამუტაშვილი, ვ. პლეშკოვა, ლ. მაჩაბელი, კ. გოგიჩაიშვილი.

დილის 6 საათზე ჯერ კიდევ ბინდში იყო გახვეული სტუდენტთა ქალაქი, როცა ცალკეული საცხოვრებელი კორპუსები სტუდენტთა მხიარული ჟრიამულით აივსო. სტუდენტი ვაჟები და გოგონები უწყვეტ ნაკადად მიემართებიან საარჩევნო უბნისაკენ, რათა ხმა მისცენ იმათ, ვინც მრავალგზის დაამტკიცა ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, ხალხისადმი.

...დილის 6 საათია. სტუდენტთა ქალაქის საზეიმოდ მორთული კლუბი უკვე სავსეა ამომრჩევლებით, აქ თავი მოიყარეს სტუდენტებმა, სტუდენტთა ქალაქის ცალკეულ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებმა.

ორჯონიკიძის რაიონის № 23 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ ო. თავყელიშვილმა მოუწოდა ამომრჩევლებს მოიხადონ თავიანთი მოქალაქეობრივი ვალი.

პირველ ბიულეტენს იღებს ახალგაზრდა ამომრჩეველი, უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. ხონელიძე, რომელიც უდიდესი აღფრთოვანებით ამბობს: — მე წილად მხვდა ბედნიერება პირველად მივიღო მონაწილეობა არჩევნებში. ძნელია სიტყვებით გამოვთქვა ის სიხარული, რასაც მე ახლა განვიცდი. ხმას ვაძლევ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, ამით მე ხმას ვაძლევ ჩვენი ქვეყნის წინსვლას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას, ნათელ მომავალს, მშვიდობას და ბედნიერებას.

და დაიწყო... უწყვეტ ნაკადად დაეშვა ადრეული ყვავილებით შემკულ საარჩევნო ყუთში ბიულეტენები, რომლითაც მოსულნი ხმას აძლევდნენ ჩვენი ხალხის რჩეულებს, ჩვენი სამშობლოს ღირსეულ ადამიანებს. საარჩევნო ყუთთან პირველად მისულთა შორის იყვნენ მ. ტყაბლაძე, ფ. ქარელი, კ. სულაქველიძე, ა. სამჭკუაშვილი, ვ. პატარაია, და სხვ.

აი, წითელმაუდგადაფარებულ მაგიდას მიუახლოვდა ცქრიალა, ცოცხალი გამომეტყველების ქალიშვილი.

— თქვენი საარჩევნო ნომერი? — შეეკითხა მას ბიულეტენების გამანაწილებელი ნადია ნადირაძე.

— 866 — უპასუხა გოგონამ.

ნადია ნადირაძემ თვალები ჩააყოლა ამომრჩეველთა სიას და ნელი ხმით წარმოთქვა: 866. ლურსმანაშვილი ლიზა. არის. აჰა, ბიულეტენები!

ლიზამ მარჯვედ დაავლო ხელი ბიულეტენებს და გაემართა საარჩევნო ყუთისაკენ. ეს ქალიშვილი უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახლავთ. ვინ მათემატიკოსი და ვინ ლექსიო, — შეიძლება თქვათ, მაგრამ ლიზამ საკუთარი ლექსიც მიუძღვნა არჩევნებს.

**„როცა ხუთმეტ მარტის ქარი,**
**ფრთებს შემოგვკრავს ხმაწკრიალა,**
**ხალხის რჩეულს გულსაც მივცემთ,**
**გულსაც — მარტო ხმას კი არა.**
**მეც ხმას მივცემ და ჩემს გულში**
**გავაღვივებ ლხენის მარცვალს,**
**ვიტყვი: სადაც ხალხის ხმაა,**
**იქ ერიოს ჩემი ხმაცა".**

დღის 2 საათისათვის სტუდენტთა ქალაქის საარჩევნო უბანში ფაქტიურად უკვე დამთავრდა არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2126 ამომრჩეველმა და ამით განახორციელა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული დიადი უფლება.

**გ. შეთეკაური**

# ორი მარადიული სიცოცხლე

მაჩაბლის ქუჩა. მწერალთა სახლი. კედლები შესუდრულა ძაძებით. გლოვის სიმბოლო — შავი ფერი — გულშიც შემოჭრილა და წუხს, გლოვობს მთელი საქართველო.

იგი კი განისვენებს სულმთლად თეთრი. მისი სპეტაკი ჭაღარა გლოვის შავ სადგურს ანათებს და ათინათინებს. იგი ალარ სუნთქავს, მაგრამ მის დადუმებულ ბაგეთ სუნთქვა ახლავს სიცოცხლიბულ სა და უკვდავებისა. იგი, განსვენებულიც, სიმბოლოა სიცოცხლისა.

მაჩაბლის ქუჩაზე ხალხის ახალ-ახალი ნაკადი მოედინება. სადღაა ჩვეული სიმყუდროვე, ჩვეული სიწყნარე? მოდიან... მოდიან... დიდი ყოფილა სიყვარული. მოდიან, ეთხოვებიან დიდ ქართველს, ჭეშმარიტ ქართველს, დიდძალოვან და დიდსულოვან ქართველს.

შალვა დადიანი!

აღარ გვყავს.

იგი სულხან საბა ორბელიანს გვაგონებდა თავისი დიდებულებით და სიდარბაისლით.

მწერალთა სახლი ხალხს ვერ იტევს. ყველას სურს უკანასკნელად თვალი შეავლოს საყვარელ მწერალსა და ადამიანს.

აქ, დარბაზში, თითქოს სიკვდილი წელგამართულა. მისი აჩრდილი კუთხით კუთხეში დაბორიალობს. საზარელია მისი სუნთქვა.

მაგრამ არის რაღაც მოზეიმე სულიც. არის ზეიმი უკვდავებისა — სიკვდილის თვალდათვალ. მის გვერდით, მისი დამმარცხებელი და მაუძლურებელი.

ხალხი კი მოდის და მოდის...

ჩუ! მოვუსმინოთ...

ეს რა გაისმა ასე შემზარავად... ხალხი რად შეტოკდა? სხეულს საზარელმა ჟრუანტელმა რად დაურბინა!..

რაღაც მძიმე და თავზარდამცემი იყო ამ წამებში.

ამ საერთო სუნთქვის შეჩერების ჟამს კაცმა ვერ წარმოთქვა ერთადერთი სახელი:

— გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი...

ვაი, რა ბოძი წაგვექცა...

გარდაიცვალა... დაიღუპა...

აღარ არის ქართული პოეზიის მეფე!..

წავიდა და დაგვიტოვა: არნახული სილამაზე და მშვენიერება ქართული პოეზიისა...

დიდი სიყვარული.

ქართული სულისა და ზეცის არნახული ტრფიალების ცეცხლი აანთო...

ქართული დილა-საღამოების ერთადერთობა.

მთაწმინდის მთვარის ნათება...

იგი იყო ჩვენი სინიდისი და სიყვარული, სიყვარული ყველა სხვა სიყვარულისაგან განცალკევებული და შეურეველი.

წავლენ წლები, საუკუნეები...

იამაყებს საქართველო, თბილისი.

რუსთაველის პროსპექტი, იმის გარდა, რომ დიდი შოთას სახელით ამაყობს, იმითაც იამაყებს, რომ აქ დადიოდა გალაკტიონი. ხალხი აქ მოძებნის მის ნაკვალევს. ხალხი ზღაპარივით იტყვის, რომ პოეტი არწივის თვალებით, საოცრება — ფრესკებიდან გაცოცხლებული, ფეხადგმული და ხალხში გადმოსული, აქ დადიოდა და პოეზიისათვის იწვოდა...

ადამიანურ ძალთა წამყვანია მისი სიტყვა — სარდალი.

იგი დადიოდა რუსთველის პროსპექტზე ახოვანი, მგზნებარე, ბობოქარი, ჯერ კიდევ დაუთოვლავი თმა-წვერით, როგორც მწვერვალი თოვლის მოლოდინში...

დიდი პიროვნებანი მზესა ჰგვანან ელვარებით, მაგრამ პირველნი მეორის ბრწყინვალებაზე ძლიერნი არიან. ასტრონომები ამბობენ, რომ მზე თავისი არსებობის ყოველ წამში ოთხ მილიონ ტონა ენერგიას ასხივებს, მზის სინათლოვნება მცირდება და მოვა დრო, მზე დღევანდელი სახით ველარ იმზევებსო.

გენიოსთა ხვედრი პირუკუ მდინარებს. დრო, საუკუნეები, ეპოქები არიან უკვდავმყოფელნი და შემფასებელნი გენიოსებისა.

გალაკტიონის წიგნის ფურცლები საუკუნეებს გალრეცენ.

რუსთაველის პროსპექტი თავისებური ძეგლი იქნება მისი.

გალაკტიონი და პოეზია ერთმანეთის სინონიმები არიან და ასე დარჩებიან მარადის! გალაკტიონის სახელი კიდევ უფრო გაამხურვალებს ქართველი ხალხის შემოქმედებითს მზეს.

...საქართველოში მარტია. მოვიდა გაზაფხული და თან წაიღო ორი დიდი სიცოცხლე. ხალხმა ორივე სიყვარულით აიყვანა ქართველ დიდსახელთა და მუზათა სამეფოში — მთაწმინდაზე. ფრთხილად მიაყარა მათ სამშობლოს სურნელით მთვრალი მიწა. მათმა სახელებმა მარად უკვდავად დაისადგურეს მადლიერი სამშობლოს და ხალხის გულში.

**ჯუმბერ თითმერია**

# ვისწავლოთ და ვიშრომოთ კომუნისტურად

(უნივერსიტეტის კომკავშირული აქტივის კრებაზე)

სკკპ XXI ყრილობამ გრანდიოზული ამოცანები დაუსახა საბჭოთა ხალხს. დღეს ყველგან თავდადებული შრომაა გაჩაღებული, შვიდწლედი ვადაზე ადრე — ასეთია ჩვენი ხალხის მისწრაფება, ასეთი იქნება მათი შრომის შედეგიც. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ დიადი მიზნის განხორციელებისათვის იბრძვიან საბჭოთა ახალგაზრდები,—კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები. პარტიის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის კომუნისტური შრომის ვახტზე დგანან კომკავშირლები.

ისე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს უნივერსიტეტში დიდი აღმავლობით განიხილავენ და სწავლობენ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ დადგენილებებს, უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაცია, სტუდენტი ახალგაზრდობა თავის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად მხურვალედ იწონებენ ამ ისტორიულ გადაწყვეტილებებს და იბრძვიან მისი ცხოვრებაში გატარებისათვის — ისინი ხომ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მრავალმილიონიანი არმიის წარმომადგენლები არიან.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე მდგარ ამოცანებს მიეძღვნა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის აქტივის კრება, სადაც მოხსენებით — „პარტიის XXI ყრილობის შედეგები და ჩვენი უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანები" — გამოვიდა ყრილობის დელეგატი, უნივერსიტეტის რექტორი აკად. გ. ძოწენიძე.

როგორც მომხსენებელი, ისე კამათში გამოსული დელეგატები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას, მხურვალედ იწონებდნენ მას.

მოხსენებაში და მოკამათეთა გამოსვლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყრილობის გადაწყვეტილებათა იმ ნაწილს, რომლებშიც ასახული იყო საბჭოთა მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების წინაშე მდგარი ამოცანები.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა მკაცრად ამხილეს ნაკლოვანებანი, რაც ჯერ კიდევ გააჩნია ჩვენს კომკავშირულ ორგანიზაციას, მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული ის მდგომარეობა, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივები წლების მანძილზე პასიურობენ. ასევე სუსტად იბრძვიან უნივერსიტეტის სახელისათვის ჩვენი სპორტსმენებიც. ამ მხრივ უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტი და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საკმაო ინიციატივას, სუსტად ხელმძღვანელობენ კულტმასობრივსა და ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას.

აქტივზე აღნიშნული იქნა ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ზოგიერთი ახალგაზრდა, არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, აცდენს ლექცია-სემინარებს, სუსტად მუშაობს თავის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის ხაზით.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: დ. წაქაძემ (თსუ ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე), ა. ალექსიძემ (სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე), ბ. ბარამიამ (სტუდენტთა ქალაქის სტუდსაბჭოს თავმჯდომარე), ა. შენგელიამ (ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი), ს. კვიციანმა (თსუ ალკკ კომიტეტის მდივნის მოადგილე), ვ. საათაშვილმა (იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი), ნ. ჩიქოვანმა (მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი), ა. სანებლიძემ (თსუ ალკკ კომიტეტის მდივანი).

კომკავშირული აქტივის კრების მუშაობაში მეონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჭანუყვაძემ, მდივნის მოადგილემ ამხ. ი. გოქაძემ, უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო ნაწილში ამხ. გ. ხავთასმა, საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორმა ამხ. ი. ბჭჩიაშვილმა.

კრების მონაწილეებმა ერთხმად მოიწონეს სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები და თავიანთი მუშაობის საბრძოლო პროგრამად გაიხადეს იგი. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი-ახალგაზრდობა, კომკავშირული ორგანიზაცია, როგორც ყოველთვის, მტკიცედ იბრძოლებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებათა პირნათლად შესრულებისათვის, იბრძოლებს რათა აღზარდოს ახალგაზრდობა პარტიის საქმისათვის, სამშობლოსათვის თავდადებული სამსახურის სულისკვეთებით.

# ვიქნებით მოწინავეთა რიგებში

ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიმდინარე სასწავლო წლის I სემესტრი წარმატებით დავამთავრეთ. მართალია, აკადემიური მოსწრების მხრივ სხვა ფაკულტეტებს შორის მესამე ადგილზე გამოვედით უნივერსიტეტში, მაგრამ გასულ წელთან შედარებით ეს კარგი წარმატებაა ჩვენთვის.

ისტორიის ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაცია ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები მოწინავენი იყვნენ, როგორც სწავლაში, ისე კომკავშირულ საქმიანობაში.

ახლახან ფაკულტეტზე შეიქმნა შრომის კომკავშირული ბრიგადა (ხელმძღვანელია პირველი კურსის სტუდენტი გ. ქვანია), რომელიც 33 კაცს აერთიანებს. ბრიგადა სამი რგოლისაგან შედგება. პირველი სამუშაო ბრიგადამ წარმატებით შეასრულა. გადაწყვეტილი გვაქვს აქტიური შრომითი მონაწილეობა მივიღოთ უნივერსიტეტის მახლობელ ტერიტორიაზე გაზგამტარი მილების გაყვანა-მშენებლობის საქმეში.

დაიწყო საუნივერსიტეტო სპარტაკიადა. ფაკულტეტის კომკავშირის ბიურომ დროულად მოჰკიდა ხელი გუნდების დაკომპლექტებას და ვფიქრობთ, რომ ჩვენი სპორტული კოლექტივი ამ სპარტაკიადაში საპატიო ადგილზე გამოვა.

ვემზადებით საუნივერსიტეტო ოლიმპიადისათვის, რისთვისაც ფაკულტეტზე შექმნილია დრამატული წრე (ხელმძღვანელი III კურსის სტუდენტი რ. გამცემლიძე) და სიმღერის გუნდი (ხელმძღვანელები ე. პირველი და თ. ბარამიძე). ჩვენი მიზანია, მომზადებული წარვსდგეთ აღნიშნულ ღონისძიებაზე.

ფაკულტეტზე რეგულარულად გამოდის კედლის გაზეთები — „საბჭოთა ისტორიკოსი" და „მათრახი", რომლებიც კარგად აშუქებენ ფაკულტეტის ცხოვრებას, კომკავშირულ საქმიანობას.

ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია ყველაფერს გაკეთებს იმისათვის, რომ ფაკულტეტი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყოს მთელს უნივერსიტეტში.

**როინ მეტრეველი,**
ისტორიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანი.

## რადიოფიზიკოსებთან

16 მარტს მთელმა საბჭოთა ხალხმა და პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა დიდი რუსი მეცნიერის, ა. ს. პოპოვის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილე. პოპოვის სახელთან არის დაკავშირებული კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის — უმავთულო ტელეფონის — რადიოს გამოგონება.

ამ თარიღთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებანი გაატარა ჩვენი უნივერსიტეტის რადიოფიზიკის კათედრამ, (გამგე დოც. შ. ბებიაშვილი) რომელსაც კარგად მოწყობილი ლაბორატორიები გააჩნია. აქ მეცნიერ-მუშაკებთან ერთად საინტერესო მუშაობას ეწევიან შესაბამისი სპეციალობის სტუდენტებიც.





**სურათებზე:** 1. ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტები ათვალიერებენ პოპოვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენას. 2. ფიზიკის ფაკულტეტის რადიოფიზიკის სპეციალობის მეხუთეკურსელები (მარცხნიდან მარჯვნივ) — თ. ყუბანეიშვილი და ს. ნანობაშვილი რადიოფიზიკის სახელოსნოში აწყობენ მაღალი ძაბვის გამმართველს. 3. რადიოფიზიკის კათედრის სემინარზე, რომელიც პოპოვის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, მეცნიერ-მუშაკი ჯ. ჩიქოვანი (მარცხნივ) კითხულობს მოხსენებას.

ფოტო ა. გუმჯიანისა



ჩვენი გაზეთის გასული წლის 20 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო ფელეტონი — „5 საათზე რესტორან „საქართველოში". მასში გაკრიტიკებული იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები—ძმები პაატაშვილები, ბერიძე და აბესაძე არაკომკავშირული საქციელისათვის.

ქვემოთ ვაქვეყნებთ მათ განცხადებას უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის სახელზე.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტს

კომკავშირლების — ლ. პაატაშვილის, რ. ბერიძის, გ. აბესაძისა და ვ. პაატაშვილის

## განცხადება

1958 წლის 16 დეკემბერს უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტმა გამოგვიცხადა სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით სტუდენტებისათვის შეუფერებელი საქციელისათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის სხდომაზე, ასეთი შემთხვევა ჩვენთვის პირველი იყო. კომიტეტის სხდომაზე და მას შემდეგ, ვიგრძენით რა ჩვენი დანაშაულის სიმძიმე, გადავწყვიტეთ მუყაითი შრომითა და კარგი სწავლით გამოვისყიდოთ იგი კომკავშირისა და უნივერსიტეტის წინაშე...

კომკავშირის ორგანიზაციამ საშუალება მოგვცა გადაწყვეტილება საქმედ გვექცია. მთელი გულისხმიერებით მოვეკიდეთ დავალებულ საქმეს. წარმატებით ჩავაბარეთ იანვრის საგამოცდო სესიებიც.

ჩვენ მზად ვართ კვლავაც ასეთივე გულისხმიერებით და მონდომებით შევასრულოთ ყველა კომკავშირული დავალება.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები:

ლ. პაატაშვილი, რ. ბერიძე, გ. აბესაძე, ვ. პაატაშვილი. 9. III. 1959.

# დავიცვათ სისუფთავე და წესრიგი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში

ალბათ, ყველას ახარებს, რომ ჩვენი 1 5000 წლის დედაქალაქი თბილისი სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის დაცვის საქმეში მოძმე ლიტვის დედაქალაქს — რიგას ეჯიბრება. რიგელებთან რომ გამარჯვებული გამოვიდეთ, ვინ უნდა შეიტანოს ამ პატრიოტულ საქმეში ყველაზე მეტი წვლილი? რა თქმა უნდა ახალგაზრდობამ, და, უწინარეს ყოვლისა, სტუდენტმა ახალგაზრდობამ. მაგრამ უდავო ჭეშმარიტებაა ისიც, რომ თუ სტუდენტ ახალგაზრდას სურს ასეთი კეთილშობილური საქმის ინიციატორად გამოვიდეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა იცავდეს სოციალისტური თანაცხოვრების წესებს იმ შენობასა და საცხოვრებელ ოთახში, სადაც თვით ცხოვრობს.

უნდა ითქვას, რომ ამ საპატიო ამოცანას ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობის უმრავლესობა კარგად ართმევს თავს. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის, რომ ზოგი მოძმე რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში შემოღებული კარგი ინიციატივის პასუხად ჩვენს სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებშიც სწრაფად დამკვიდრდა ტრადიცია თვითმომსახურებაზე გადასვლისა. ჩვენი სტუდენტების მეტი ნაწილი კარგად შეეთვისა საერთო საცხოვრებლებში შემოღებულ თვითმომსახურების წესებს და კარგადაც იცავენ მას. ეს გამოვლინდა თუნდაც უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მოწყობილი რეიდის დროს, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ განხორციელდა სტუდქალაქში.

ჩატარებული რეიდის დროს ყველაზე მეტი წესრიგი იმ საცხოვრებელ ოთახებში შეიმჩნეოდა, სადაც ცხოვრობენ სტუდენტები, რომლებიც გამოირჩევიან კარგი სწავლითა და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობით. სანიმუშო სისუფთავეა, მაგალითად, IV კორპუსის მე-10 ოთახში, სადაც რეიდის დღეს ისტორიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ქვიციანი მორიგეობდა. კარგი სისუფთავეა აგრეთვე ამავე კორპუსის მე-20, 21-ე და 25-ე ოთახებში, სადაც ისტორიის ფაკულტეტის მეორეკურსელები ცხოვრობენ. სისუფთავესა და სანიმუშო წესრიგს იცავენ 32-ე ოთახის მცხოვრებლები, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები — ბართაია, ჩაჩუა, გონჯილაშვილი. ასევე კარგი წესრიგით გამოირჩევა 28-ე, 35-ე და მე-40 საცხოვრებელი ოთახები.

VII კორპუსის მე-11 ოთახში, სადაც ქიმიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტები — ც. თურმანიძე, მ. ჭანტურია, ლ. ჯაკობია და გ. გაგლოევა ცხოვრობენ, მართლაც რომ სამაგალითო სისუფთავე და წესრიგია დამყარებული. შესანიშნავი წესრიგია კორპუსის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარის ცქირიას ოთახშიც. ასევე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ამავე კორპუსის მე-16, მე-7, 21-ე, მე-18, 30-ე, 34-ე და სხვა ოთახები. აღსანიშნავია, რომ 48-ე საცხოვრებელ ოთახში ორი უსინათლო სტუდენტი ცხოვრობს, მაგრამ ეს მათ ხელს არ უშლის წესრიგისა და სისუფთავის სანიმუშოდ დაცვაში.



ასე სანიმუშოდ გამოიყურება VII კორპუსის 46-ე ოთახი, სადაც ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები ცხოვრობენ.

ასევე შეიძლება ითქვას დანარჩენი კორპუსის ბევრ საცხოვრებელ ოთახზეც, მაგრამ კარგი და სასურველი ის იქნებოდა, რომ ამისი თქმა ყველა ოთახზე და მათში მაცხოვრებლებზე შეიძლებოდეს.

თუ მაცხოვრებელთა უპასუხისმგებლობით არა, სხვა რით უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ მეოთხე კორპუსის მე-4 ოთახში შემოწმებისას იატაკზე ეყარა მზესუმზირას ნაფცქვენები; ამასთან, საწოლები აშლილი, ხოლო ფანჯრები დამსხვრეული იყო.

იმავე კორპუსის 39-ე ოთახში, სადაც ანტისანიტარია იყო გამეფებული, სიცხიანი ავადმყოფი გოგოლაური იწვა, რომელიც უყურადღებოდ იყო მიტოვებული (მცხოვრებლები — ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, მორიგე სტასიუკი) ასევე უსუფთაობით გამოირჩევა იმავე კორპუსის 34-ე, მე-2 და მე-8 ოთახებიც. ხოლო მე-18 ოთახში, სადაც სამი კაცის ადგილია, ცხოვრობს ოთხი კაცი, რაც ცხოვრების არანორმალურ პირობებს ქმნის.

უსუფთაობას აქვს ადგილი I კორპუსის მე-17 და 23-ე ოთახებში. ამ ოთახებში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები ცხოვრობენ, მაგრამ ცხოვრების ელემენტარულ წესებს კი არ იცავენ. უსუფთაობას აქვს ადგილი VII კორპუსის მე-20, მე-9 და მე-4 ოთახებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ ოთახებში სტუდენტი ქალები ცხოვრობენ.

არც ის იქნება სწორი, რომ საერთო საცხოვრებლებში არსებული დარღვევები მარტო სტუდენტებს გადავაბრალოთ. რა ქნან, მაგალითად სტუდენტებმა, როცა VII კორპუსის მე-20 ოთახში რადიატორიდან წყალი იღვრება, ხოლო მის შეკეთებაზე არავინ ფიქრობს? ვისი ბრალია, რომ 49-ე ოთახს არ აქვს საკეტი, ხოლო კორპუსის პირველი სართულის მარცხენა მხარეზე, დერეფანში არცერთი ნათურა არ არის. მარჯვენა მხარეზე კი ჭერის ბათქაშია ჩამონგრეული?

სტუდენტობის დაუდევრობას არც ის მიეწერება, რომ პირველი კორპუსის დერეფნებში არ დგას სანაგვე ურნები და



თითქოს დაუჯერებელია, რომ სტუდენტის საცხოვრებელ ოთახში ასეთი უწესრიგობა იყოს, მაგრამ... (I კორპუსი, ოთახი 23-ე).

ალბათ ამის გამო, სიბინძურეა საუთოებელ ოთახში. ასევე მეოთხე კორპუსის საუთოვებელ ოთახში არ არის უთო, ხოლო საკანალიზაციო მილგაყვანილობიდან საპირფარეშოებში ჩამოდის წყალი. ეს კი სიბინძურესა და ანტისანიტარიას ქმნის.

საერთო საცხოვრებელ ოთახებში სისუფთავის ნორმალიზაციას ხელს უშლის ისიც, რომ არასაკმარისი გათბობის გამო თითქმის ყველა ოთახში დგას ნავთქურები, რაც ხელს უწყობს ჯანმრთელობისათვის მავნე ჰაერის დაგროვებას და ანტისანიტარიის შექმნას.

საჭიროა ყველა ამ ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის მეტი მუშაობა აწარმოონ როგორც სტუდენტთა ქალაქის მმართველობამ, ისე უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. ამასთან საჭიროა, რომ თავიანთი სტუდენტების ცხოვრების პირობებით მეტად იყვნენ დაინტერესებული უნივერსიტეტის ცალკეული ფაკულტეტების დეკანატები, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

თვითეული სტუდენტის ვალია ზუსტად და რეგულარულად დაიცვას საერთო საცხოვრებელში ცხოვრების წესები.

**გერვასი ნასარიძე**



ზოგჯერ ოთახში ასეა დაცული წესრიგი და სისუფთავე. (I კორპუსი, ოთახი მე-13).

---

აზიზ ნესინი განთქმული თურქი მწერალია. მან გამოაქვეყნა ათამდე კრებული, რომლებმაც დიდი იუმორისტის სახელი მოუხვეჭეს ავტორს. ყოველ მის ნაწარმოებში ჩანს, რომ მწერალს გულწრფელად უყვარს თავისი ხალხი. 1957 წ. იტალიაში გამართულ მწერალ-იუმორისტთა საერთაშორისო კონკურსზე აზიზ ნესინმა მეორედ დაიმსახურა ოქროს პალმა და პირველი პრემია კრებულისათვის — „ზეიმი ქვაბის დადგმასთან დაკავშირებით".

წინამდებარე მოთხრობა ამოღებულია კრებულიდან — „ფილი ამდი".

**აზიზ ნესინი**

## ჩემს ბედნიერებას შენ უნდა გიმადლოდე!

* * *

— ძვირფასო, ერთი ქალი გავიცანი, არ მკითხო...

— ძალიან ლამაზია?

— რას ამბობ, მეგობარო, აი, ნახე სურათიცა მაქვს.

— მართლაც ლამაზი ყოფილა... აბა, შენ იცი, არ გაუშვა!

— გაუშვა?! ჰმ! შენ კარგად არ მიცნობ.

— გაქცევს ყურადღებას?

— საკმარისად...

— ქალის გული უნდა მოიგო, როგორმე.

— მთელს ჩემს უნარს არ დავზოგავ...

* * *

— რა ამბავია, რა არის ახალი?

— მადლობა ალაჰს, კარგი ამბავია: გახსოვს, გუშინ რომ გითხარი ერთი ქალი გავიცანი-მეთქი?

— ო, მერე?

— სიყვარულის ცეცხლით ვიწვი, გაგიჟებით მიყვარს.

მასაც უყვარხარ?

— არ ვიცი.

— ეცადე თავი შეაყვარო.

— როგორ?

— შენ კარგად იცი, რომ ამ საქმეში მე დიდი გამოცდილება მაქვს: საჩუქრები უყიდე, ქალებს ყვავილები უყვართ, განსაკუთრებით კი — მიხაკი. შემდეგ ფასიანი საჩუქრებიც მიართვი, თანაც ხშირად უთხარი ძლიერ ჭკვიანი ხარ-თქო.

— რაც მირჩიე, ყველაფერს გავაკეთებ.

* * *

— აჰ... როგორ გადაგიხადო მადლობა არ ვიცი.

— რისთვის, რა მოხდა?

— შენ, ძმაო ქალის სულის გესმის: როგორც მითხარი, ისე მოვიქეცი, ქალმა კეთილი თვალით შემომხედა. მითხარი, თუ ალაჰი გწამს, აწ როგორღა მოვიქცე?

— კინოში წადით, ოღონდ ფრთხილად იყავი! სერიოზული ფილმი არ ნახოთ. ან მელოდრამატული, ან კომიკური ან მუსიკალური იყოს. კინოდან რომ გამოხვალთ, საშაქარლამოში შეიყვანე და უეჭველად ვანილიანი ნაყინით გაუმასპინძლდი. ჰო! აუცილებლად ვანილიანი ნაყინით, თანაც ყოველთვის ჯიბით ატარე შოკოლადის ფილები, ხშირად შესთავაზე, არ დაგავიწყდეს!

— როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი, მაგ ქალზე გაგიჟებული ვარ.

* * *

— გუშინ კინოში ვიყავით, შოკოლადი რომ შევთავაზე, დაიბნიდა. კინოდან საშაქარლამოში შევედით, ვანილიანი ნაყინით გავუმასპინძლდი; დიდად შეაქო ჩემი გემოვნება. შევპირდი, რომ ამ კვირას სადმე წავიყვან, თუ ძმა ხარ, მირჩიე სად წავიყვანო?

— მე რომ მკითხოს კაცმა, ბიუკადაში* წავიყვანდი, იქ ვირით ისეირნეთ, მერე პლაჟზე ჩადით, იცეკვეთ, ოღონდ მარტო ვალსები.

— ოჰ, ღმერთო, ერთი ეგ ქალი ჩამაგდებინა ხელში.

— რასაც გირჩევ, გააკეთე და ჩაიგდებ.

— ალაჰ, არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა.

— არ ღირს... მე მხოლოდ ჩემს გამოცდილებას გიზიარებ.

* * *

— როგორ ხარ?... იყავით კვირას სასეირნოდ?

— ვიყავით... ოჰ, რა ვიმხიარულეთ, მაგრამ არაფერი გამოდის.

— რატომ?

— გათხოვილი ყოფილა. მხოლოდ ისე, უბრალოდ ვისეირნეთ.

— ქმარი უყვარს?

— არა ძმაო, ჯორივით ქმარი მყავსო თვითონ მითხრა, გაუთლელის ერთია, ქალის სულს სრულებით ვერ წვდება, უხეშიაო!

— აჰ, საწყალი ქალი! აქამდე რატომ არ გაეყარა?

— შენი იმედი რომ მქონდეს, დღესვე გავეყრებიო, მითხრა.

რაღა ვილონო, არ ვიცი...

ზურგი არ შეაქციო!..

* * *

— რა ამბავია? საქმე წინ მიდის?

— ნუ მკითხავ... ჯერ ერთხელაც არ მიკოცნია. ძალიან მორცხვია, მაგრამ ვხვდები, რომ ვუყვარვარ.

— საჩუქრების ყიდვა არ შეწყვიტო, აი, თუნდაც სუნამო „სკანდალი" უყიდე. მერე კი... აბა, როგორ გითხრა, რაიმე ქსოვილი უყიდე: ქალებს უფრო მეტად ლურჯი ფერი მოსწონთ, ღია ლურჯი...

— ეეე... ქმარმა რომ გამიგოს?

— როგორ გაიგებს? შენ არ თქვი ქალმა მითხრა, სულელი ქმარი მყავსო? თუ გინდა ქსოვილს მე შეგირჩევ!

— კეთილი, ახლავე ვიყიდოთ!..

* * *

— როგორაა საქმე?

— ძალიან კარგად. „სკანდალი" რომ დაინახა, ჩემი უსაყვარლესი სუნამოაო, შეჰყვირა. ქსოვილის ფერმა სულ ალაფრთოვანა, მაგრამ ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეებივით ვიქცევით. ერთი მითხარი, ამ ქალს როგორ დავეუფლო?

— მისმინე! ქემალის ლექსები წაუკითხე... მერე უთხარი, ქმარს გაეყარე და დავქორწინდეთ-თქო...

* * *

— კარგა ხანია არ მინახავხარ, სად დაიკარგე?

— ველარ მოვახერხე გამოვლა. ჩარხი შეტრიალდა, ქალი ქმარს გაეყარა.

— ირთავ?

— რა საკითხავია...

— აბა, დროს ნუღარ დაკარგავ, ყოველი შემთხვევისათვის ხომ იცი...

* * *

— აბა, როგორ გადაგიხადო მადლობა, არ ვიცი, გუშინ დავქორწინდი, ჩემს ბედნიერებას შენ უნდა გიმადლოდე, შენი დახმარებით შევირთე ის ქალი!

— მეც შენი დიდი მადლობელი ვარ, ძმაო! ჩემს ბედნიერებასაც შენ უნდა გიმადლოდე. მეც ხომ შენი მეშვეობით გავეყარე ცოლს...

— !...

თურქულიდან თარგმნა

**ელიზბარ ჯაველიძე**

* ბიუკადა — სტამბოლის ერთ-ერთი უბანია.

ფელეტონი

# სპორტი, სტუდენტები, შხაპი...

**სცენა უნივერსიტეტის I კორპუსის ვესტიბიულში:**

— ომარ, დღეს ვარჯიში გვაქვს?

— ზუსტად არ ვიცი, მგონი უნდა გვქონდეს!

— როგორ, არ აპირებ დასწრებას?

— რას ამბობ, ბიჭო, ისლა მაკლია გასწური გავხდე!

— ველარ გაიგე? უნივერსიტეტში წყალი საბანაო კი არა, დასალევიც არაა.

— ეგ მეც ვიცი.

— მოკლედ, ვარჯიშზე წამოხვალ?

— არა!

— ჩათვლას ვერ მიიღებ!

— ჩამომახსენი, რას გადამეკიდე.

* * *

**სცენა სავარჯიშო დარბაზში**

— პატივცემულო, შხაპი იქნება?

— იქნება...

— მართლა? ნუ დაგვიმალავთ...

— ივარჯიშეთ, ივარჯიშეთ...

— წყალი თუ არ იქნება, შემდეგ ლექციას ველარ დავესწრებით!

— დროს ნუ კარგავთ, ი-ვ-ა-რ-ჯ-ი-შ-ე-თ!

რამდენიმე ხმა ერთად:

— ჩვენ ვუყურებთ, თეორიულად შევისწავლით ილეთებს!

— გაცდენებს ჩაგიწერთ!

— შეგვიბრალეთ!

მწვრთნელის ტრაგიკული შეძახილი:

— ადამიანები არა ხართ? არ მოგწყინდათ ერთსა და იმავეზე ლაპარაკი? წყალი არ იქნება, მეორე კორპუსში იბანავეთ!

— გარეთ ცივა, გავცივდებით.

— დღეს კარგი ამინდია!

— იქაც რომ არ იყოს?

— ეს უკვე მე არ მეხება!

— აბა ვის, ვის ეხება.

— ნუ ნერვიულობთ, განაგრძეთ ვარჯიში.

* * *

**სცენა ვარჯიშის შემდეგ**

ოფლადდაღვრილი სტუდენტები კამათობენ:

— წავიდეთ მეორე კორპუსში?

— ლექციაზე რომ დავაგვიანებთ?

— აბა, რა ვქნათ?

— კარგი, წავიდეთ, მაგრამ რომ არ შეგვიშვან?

— ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა!

მეორე კორპუსის სპორტდარბაზის ფანჯრიდან ენერგიული ჟესტიკულაციით იხმობენ სავარჯიშო დარბაზში მყოფ დამლაგებელ ქალს. როგორც იქნა იგი უახლოვდება ფანჯარას.

— დეიდა, კარი გაგვიღეთ, სპორტსმენები ვართ!

— მოუარეთ, აქედან არ შეიძლება!

როგორც იქნა მოუარეს და შევიდნენ საშხაპოში.

— ბიჭებო!... ბიჭებო!.. ბიჭებო!.. ბიჭ...

— რა იყო? რა მოხდა?

— თბილი წყალი, წყალი,... წყალი... თბილი...

— ნუთუ მართლა?

* * *

**სცენა საშხაპოში**

— ვაი, ვაიმე!..

— გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ!

— მდუღარეა, მდუღარე, მოვიხარშეთ!

— ქალბატონო, მოგვეშველეთ.

— ეს მე არ მეხება, „კოჩევგარს" მოკითხეთ, დარეკეთ. მე თავი დამანებეთ.

— „კოჩევგარნიააა"?

— ჰამეე!..

— რა დროს ჰამეა თუ ძმა ხარ, ჩქარა, ცივი წყალი გამოუშვი!

— კუკლაჯან, რათ ჩხუბამ, ცივი ძალი არ არის, გავიგეე?

— უჰ...

— ბატონო, ბატონო, თქვენ მწვრთნელი ბრძანდებით?

— რას გვიბრძანებთ?

— რატომ არ გვაქცევენ ყურადღებას?

— ჰმ, შენ რამდენი წლისა ხარ?

— ასაკი რა შუაშია?

— იმ შუაშია, ჩემო ბიძიკო, რომ მე აქ დავბერდი და ჯერ არ მახსოვს წყალი ნორმალურად მოდიოდეს.

— ბატონო, ცოცხლად ვიხარშებით ხალხი!

— მერე მადლობლები არა ხართ? წელიწადში ერთხელ არის ხოლმე ცხელი წყალი და თქვენ კიდევ უკმაყოფილებას გამოთქვამთ!

— დაგვცინით?

— არა, ისე, გაყინვას გათბობა სჯობია...

* * *

**სცენა ვერის აბანოში**

— ოჯახი დაექცეს ჩვენს გამწვალებლებს!

— გაჩუმდი, ქალივით ნუ იწყევლები!

— როდემდე უნდა ვიდგეთ რიგში, დღეს არ მოგვიწევს ნამდვილად!

— ხომ გაგიგონია, მოთმინებითა შენითაო...

— კარგი, კარგი გეყოფა!

— მოიცა ძმაო, იქნება გვეშველოს რამე!

— რა ვიცი, გვეშველება კი?!..

ფ ა რ დ ა.

**ბენო სეფისკვერაძე**

# ქართული ხელოვნებისა და კულტურის საგანძურში

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომელსაც 1952 წლამდე ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმი — „მეტეხი" ეწოდებოდა, დაარსებულია 1934 წელს ქ. თბილისში. 1952 წლიდან მუზეუმი იმყოფება ყოფილი სასულიერო სემინარიის შენობაში (კეცხოველის ქ. № 1), რომელიც აგებულია გასული საუკუნის 30-იან წლებში და რომელშიც 1894-99 წლებში სწავლობდა ი. ბ. სტალინი.

მუზეუმის მხატვრული ფონდების საფუძველს შეადგენს ადრე არსებული მთელი რიგი ქართული მუზეუმების ფონდების კოლექციები (საქართველოს ეროვნული გალერეა, საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი, საეკლესიო სიძველეთა მუზეუმი და ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმი).

შემდეგ წლებში მუზეუმის კოლექციები საგრძნობლად შეივსო საბჭოთა, რუსული, დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნების ნაწარმოებებით. ამ ღონისძიებათა შედეგად, საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი საბჭოთა კავშირის მუზეუმთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მუზეუმად იქცა.

მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია მოცემულია ხუთ ძირითად განყოფილებად (საბჭოთა ხელოვნების განყოფილება, ქართული ხელოვნებისა და კულტურის განყოფილება, რუსული ხელოვნებისა და კულტურის განყოფილება, აღმოსავლეთის ქვეყნების ხელოვნებისა და კულტურის განყოფილება).

მუზეუმის სეიფში ინახება ძველი ქართული პლასტიკის უნიკალური ნაწარმოებები ლითონზე, უმთავრესად ვერცხლსა და ოქროზე, მხატვრული საიუველირო ნაკეთობანი VI საუკუნიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე (დავით კურაპალატის ჯვარი, ბაგრატ III-ის ბარძიმი, ხახულის ტრიპტიქი, ბექა და ბეშქენ ოპიზრების ნამუშევრები და სხვ.)

ახალი და საბჭოთა პერიოდის ქართული ხელოვნების განყოფილებაში წარმოდგენილია რ. გველესიანის, ა. ბერიძის, გ. გაბაშვილის, ა. მრევლიშვილის, ი. ნიკოლაძის, მ. თოიძის, ნ. ფიროსმანიშვილის, ლ. გუდიაშვილის, ნ. კანდელაკის, უ. ჯაფარიძის, ს. ქობულაძის, კ. მერაბიშვილის, კ. ხანაძის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, ს. მაისაშვილის და სხვათა ნამუშევრები.

მუზეუმში დაცულია აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ხელოვნების ძეგლები (უმთავრესად უძველესი პერიოდისა).

რუსული ხელოვნება წარმოდგენილია XII საუკუნიდან და ეს განყოფილება შეიცავს სიმონ უშაკოვის, კ. ბრიულოვის, ი. რეპინის, ვ. სურიკოვის და სხვათა ნაწარმოებებს.

მუზეუმში დაცულია უცხო ქვეყნების (იტალიის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ესპანეთის, ფლანდრიის, გერმანიის, ჩინეთის, ირანის და სხვ.) ხელოვნების ძვირფასი ექსპონატები.

მსურველებს მუზეუმის დათვალიერება შეუძლიათ ყოველდღე, დილის 11 საათიდან, საღამოს 9 საათამდე. (სამშაბათი გამოსასვლელი დღეა).

პროფ. **შ. ამირანაშვილი,**

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.

# სამთო-სათხილამურო გადასვლა

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა — გ. სახელიშვილმა, რ. ბერაძემ, ჰ. ჯანელიძემ, რ. ბერაძემ, გ. სირბილაძემ, მ. მირიანაშვილმა და გ. ვართანოვმა საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიეუძღვენით სამთო-სათხილამურო გადასვლა მარშრუტით: თბილისი—ბაკურიანი — ცხრაწყაროს გადასასვლელი — ტბა ტაბაწყური — ბებერას გადასასვლელი — წალკა — მანგლისი — თბილისი, რომლის სიგრძეც 200 კმ-ს აღემატება.



29 თებერვალს, დილის 9 საათისათვის ბაკურიანში ვიყავით. დაბა უჩვეულოდ გამოიყურებოდა — აღარ ისმოდა ახალგაზრდული ყიჟინა, ღრმად დათოვლილი სახლები თოვლის პატარა ბორცვებს ჰგავდნენ. მზიანი დილა იდგა. ჩვენი ჩასვლის მიზანი როცა გაიგეს, გვირჩიეს უკან დავბრუნებულიყავით, ახლა ზვავი იცისო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც შევყევით მდ. ბაკურიანისწყლის ხეობას. მალე ზვავსაშიშ ფერდობებზე აღმოვჩნდით. ამინდმაც გვიღალატა. მზის სხივები თოვლმა და ქარბუქმა შეცვალა, რომელიც მხედველობის საშუალებას არ გვაძლევდა, დაბრუნება კი უაზრო იყო. მძიმე ზურგჩანთები და თხილამურები სიარულს აუტანელს ხდიდა. სიბნელესთან ერთად გადასასვლელზე მიღწევის იმედიც იკარგებოდა,

მაგრამ შეუპოვრობამ თავისი მაინც გაიტანა: როგორც იქნა მივაღწიეთ უკანასკნელ თხემს, რომელმაც თავშესაფრამდე მიგვიყვანა და ჩვენი პატარა ჯგუფი გაყინვისაგან იხსნა. აქ მოვახერხეთ ცეცხლის დანთება და სულის მოთქმა. აღარ ვფიქრობდით განვლილ გზაზე, ვოცნებობდით მხოლოდ კარგ ამინდზე, რომელსაც იშვიათად თუ შეხვდებით ცხრაწყაროზე. ბედმა გაგვიღიმა. დილით ცაც მოიწმინდა. კარგმა ამინდმა სიხალისე შეგვმატა. უკან მოვიტოვეთ გადასასვლელი. თავქვეზე თხილამურებმა რამდენიმე კილომეტრზე ჩვენს დაუხმარებლივ გაგვასეირნეს. საშუალება მოგვეცა ირგვლივ მიმოგვეხედა. მზის სხივებზე ბრწყინავდა თოვლით დაფარული ვულკანური კრატერი თავკვეთილი, მარჯვნივ — შავნაბადა, ხოლო სამხრეთით — მაღალი მწვერვალები სამსარი და აბული, დაბლა კი სადაც მათი ფერდობები იწყება, მოჩანდა თეთრი-მოცისფრო ველი — ეს გაყინული ტაბისყურის ტბა იყო, ჩვენს წინ კი მოჩანდა ტბაში სოლივით შეჭრილი სოფელი ყიზილ-ქილისა (წითელი საყდარი), სადაც გველოდა გულთბილი შეხვედრა, წყალი, ცეცხლი, ცხელი საჭმელი, ჰ. ჯანელიძის თხილამურის „ტრაგედია" და დარდიანი ძილი, ხოლო მეორე დღეს ძლიერი ქარბუქი და გრძელი გზა.

დილით მოხუცმა ხალხმა გვირჩია, ასეთ ამინდში ბებერას გადასასვლელზე ხიფათია მოსალოდნელიო. ჩვენ ჩვენი არ დავიშალეთ და დავტოვეთ სოფელი. 4 კმ-ის სიგრძეზე გადავკვეთეთ ტაბაწყურის ტბა და მალე ფერდობებს ავყევით. სიმაღლესთან ერთად ქარი მატულობდა. მივდიოდით ჩუმად. ერთ ხანს ქარი ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა, შეგვაჩერა, შეგვამჭიდროვა. დაცდა უშედეგო იყო, როგორც მოსალოდნელი იყო, ამინდი გაუარესდა. ვჩქარობდით გადასასვლელზე გადავესწრო. დღის 2 საათისათვის გადასასვლელიც უკან მოვიტოვეთ. ვეშვებით დაბლა ვულკანური ქვებით ნაყარ ფერდობებზე, სადაც დროდადრო თხილამურების მოხსნა გვიხდება.

5 საათისათვის სოფელ ბურნაშეთში ვიყავით. სკოლის დირექტორმა პატივისცემით მიგვიღო. ღამე მხიარულად გავატარეთ. დილით კი: დარიგება, გამომშვიდობება და ისევ გზა.

გავყევით მდ. ქციას ნაპირებს, რომელმაც რაიონის ცენტრში, წალკაში ჩაგვიყვანა. მცირე შესვენების შემდეგ გზას ვაგრძელებთ მანგლისისაკენ. ამინდი ცუდი იყო. ძლიერმა ქარმა გაშლილ იალაღებთან — „ეშმაკის ველზე" მოგვისწრო. გადავლახეთ ეს სიძნელეც. მალე მდ. ალგეთის ხეობას ჩავყევით, საღამოს მანგლისში ვიყავით. მეორე დღეს, 6 მარტს, კვლავ თბილისში ვართ, კვლავ უნივერსიტეტი, ზარის წკრიალი და ლექციები.

**გ. ვართანოვი,**

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი, სამთო-სათხილამურო გადასვლის ხელმძღვანელი.

# ჩემპიონი დამატებითმა შეხვედრამ გამოავლინა

## ჭადრაკი

დამთავრდა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში. ფინალურ შეხვედრებში ადგილების საერთო განაწილებისათვის ერთმანეთს შეხვდნენ: I-II ადგილებისათვის—ფიზიკისა და მექანიკა-მათემატიკის, III-IV ადგილებისათვის — გეოგრაფია-გეოლოგიისა და იურიდიული, V-VI ადგილებისათვის—ფილოლოგიისა და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, VII-VIII ადგილებისათვის — ისტორიისა და ეკონომიური ფაკ. გუნდები.

როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე მძაფრი ბრძოლა გაიმართა I ადგილის პრეტენდენტებს შორის. ფიზიკოსების გუნდი შემდეგი შემადგენლობით გამოდიოდა: ა. ხელაშვილი, თ. ჯახუტაშვილი, მ. ზვიადაძე, მ. ლომსაძე, ვ. კოკოევა; მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდში კი შედიოდნენ მ. თხელიძე, თ. კალატოზიშვილი, დ. კვესელავა, თ. ქორქოლაძე, ლ. სკამკოჩაშვილი.

თხელიძისა და ხელაშვილის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი; ზვიადაძემ მოუგო კვესელავას, ქორქოლაძემ —ლომსაძეს, კოკოევამ — სკამკოჩაშვილს. მძიმე ცაიტნოტში მოხვდა კალატოზიშვილი ჯახუტაშვილთან შეხვედრაში: უკანასკნელი 14 სვლისათვის მას რაღაც ორიოდე წუთი ჰქონდა დარჩენილი, მაგრამ მოხდა ისე, რასაც არავინ მოელოდა: კალატოზიშვილმა არა თუ შეცდომა არ დაუშვა ამ მძიმე მდგომარეობაში, არამედ მარჯვედაც გამოიყენა მოწინააღმდეგის არასწორი სვლა, მოიგო ფიგურა და ცაიტნოტიდან გამოსვლის შემდეგ—პარტიაც. ამგვარად, შეხვედრა დამთავრდა ფრედ 2,5 — 2,5.

დანარჩენ შეხვედრებში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა მოუგო იურიდიული ფაკულტეტის გუნდს (3:2), ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდმა — დასავლეთ-ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის გუნდს (3,5 — 1,5), ისტორიკოსებმა—ეკონომისტებს (3,5 — 1,5), ხოლო ქიმიკოსებს მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო გამარჯვება ჩაეთვალათ აღმოსავლეთმცოდნეებთან.

ამგვარად, ამ დღეს განაწილდა III — X ადგილები: III ადგილი წილად ხვდა გეოგრაფია-გეოლოგიის, IV იურიდიული, V—ფილოლოგიის, VI—დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის, VII—ისტორიის, VIII — ეკონომიის, IX — ქიმიის, X — აღმოსავლეთმცოდნეობის, ხოლო XI ბიოლოგიის ფაკულტეტის გუნდს.

ფიზიკოსებისა და მექანიკა-მათემატიკოსების განმეორებით შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა I—II ადგილის ბედი. ამ შეხვედრაში, რომელიც 18 მარტს შედგა, კვესელავამ რევანში აიღო ზვიადაძესთან, ხელაშვილმა მოუგო თხელიძეს, კალატოზიშვილმა ქორქოლაძემ და კოკოევამ ამჯერადაც დაამარცხეს თავისი მოწინააღმდეგეები — ჯახუტაშვილი, ლომსაძე და სკამკოჩაშვილი. ამგვარად, გადამწყვეტ შეხვედრაში გაიმარჯვა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის გუნდმა (3:2) და მოიპოვა უნივერსიტეტის X სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი ჭადრაკში. მეორე ადგილზე გავიდა ფიზიკის ფაკულტეტის გუნდი.

რედაქტორი **ირ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 2-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 1 500. უე 01065

ბიბლიოთეკა